ხელშეკრულება N27/11/19-162/2

(CPV92300000 - გასართობი მომსახურებები; CPV92312212 - სასწავლო სახელმძღვანელოების მომზადებასთან დაკავშირებული მომსახურებები)

სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 25 ნოემბრის განკარგულება სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის" სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე - SMP190004344

ქ. თბილისი **27 ნოემბერი 2019 წ.**

ერთი მხრივ, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" (შემდგომში - „სააგენტო"), წარმოდგენილი დირექტორის ზვიად როსტომაშვილის სახით,

და

მეორე მხრივ, საავტორო უფლების მფლობელი შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" (საიდენტიფიკაციო N204931164, შემდგომში - „საავტორო უფლების მფლობელი") წარმოდგენილი დირექტორის თინათინ მამულაშვილის (პირადი N01018000166) სახით (გრიფირების განაცხადის რეგისტრაციის N162 ინგლისური (პირველი უცხოური ენა) V-VI კლ.), ერთობლივად „მხარეები",

ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-სა და საავტორო უფლების მფლობელ შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" -ს შორის 2018 წლის 4 აგვისტოს გაფორმებულ N04/08/18-162 ჩვეულებრივ ლიცენზიის ხელშეკრულების გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგი პირობებით:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საავტორო უფლების მფლობელისათვის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული) ტირაჟის შესაბამისად საავტორო ჰონორარის (კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით) გადახდა.

1.2. ამ მუხლის 1.1. პუნქტით გათვალისწინებული საავტორო ჰონორარის ოდენობა შეადგენს 57 888 (ორმოცდაჩვიდმეტი ათას რვაას ოთხმოცდარვა) ლარს.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. საავტორო უფლების მფლობელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს სააგენტოს გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული) ტირაჟის შესაბამისად საავტორო ჰონორარის გადახდა საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით;

ბ) მოსთხოვოს სააგენტოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

2.2. სააგენტო ვალდებულია:

ა) საავტორო უფლების მფლობელს, საავტორო ჰონორარის სახით გადაურიცხოს გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული) ტირაჟის შესაბამისი ღირებულება.

ბ) დაიცვას და შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნები და პირობები.

3. მხარეები ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 3. ანგარიშსწორების წესი

3.1. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, საავტორო უფლების მფლობელის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით, ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

3.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საავტორო ჰონორარი მოიცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა ან მასში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმებით.

მუხლი 5. ფორს-მაჟორი

ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობისას, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადავადდება აღნიშნული გარემოებების აღმოფხვრისათვის საჭირო ვადით.

მუხლი 6. დამატებითი პირობები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მხარეთა შორის წარმოშობილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

6.2. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლის თითო ეგზემპლარი გადაეცემა ხელშეკრულების თითოეულ მხარეს.

მუხლი 7. რეკვიზიტები

სააგენტო	**საავტორო უფლების მფლობელი**
	შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
	ს/კ 204931164 ბანკი: სს „პროკრედიტ ბანკი“
	ბანკის კოდი: MIBGG E22
	ანგ. GE32PC0133600100037192
ზვიად როსტომაშვილი	**თინათინ მამულაშვილი**
დირექტორი	**დირექტორი**

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა
BAKUR SULAKAURI
PUBLISHING
204931164